<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.05.2017, სარეგისტრაციო კოდი: 040200140.05.001.018425) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათ შორის, სტაბილური ოჯახური გარემოსა და ბავშვის სათანადო აღზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების არსებობას;“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შვილად აყვანის მსურველ საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის წარმოების წესი, ამ პირთა საქართველოში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების წესი და პირობები, ასევე შვილად აყვანის მსურველ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის/დოკუმენტების ნუსხა და მათი წარდგენის პირობები (როგორც მშვილებლად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის, ისე - შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე თანხმობის გაცხადების დროს) განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შვილად აყვანის წესით.“.

2. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება სტაბილური ოჯახური გარემოსა და ბავშვის სათანადო აღზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების არსებობა;“.

3. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მშვილებლის შესახებ მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა), პიროვნული მახასიათებლები, ბავშვის შვილად აყვანის მოტივაცია;“.

4. 71-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) იმ პირისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვისთვის კეთილსაიმედო ოჯახური გარემოს, მათ შორის, ბავშვის სათანადო მოვლის, აღზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების არსებობას;“.

5. 78-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 და მე-9 პუნქტები:

„8. 2026 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მშვილებლად რეგისტრირებული პირის მიმართ დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან შეთავაზებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანაზე მის მიერ თანხმობის გაცხადების ეტაპამდე, ხოლო შვილად აყვანის პროცედურები გაგრძელდეს ამ კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით.

9. 2026 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მშვილებლად რეგისტრირებული პირი, რომელსაც არ გაუვლია ამ კანონით გათვალისწინებული შვილად აყვანის სავალდებულო მოსამზადებელი კურსი, ვალდებულია გაიაროს აღნიშნული კურსი და მისი გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი სააგენტოს წარუდგინოს გასაშვილებელი ბავშვის მისთვის შეთავაზებიდან შვილად აყვანის შესახებ დასკვნის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის წარდგენამდე.“.

მუხლი 2

საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**